ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

# თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

## ინსტიტუტის მიზანი

კაცობრიობამ დიდი ხანია შეიცნო ენის განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა, რამდენადაც „ენათა სხვაობა არის სხვაობა არა ბგერადობისა და ნიშნებისა, არამედ მსოფლხედვისა“ (ვ. ფონ ჰუმბოლდტი). აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა იმ მეცნიერების როლი, რომელიც სწავლობს ენას: ბუნებრივ ენობრივ კონსტრუქციათა ლინგვისტური ანალიზი წარმოდგენას გვიქმნის ადამიანისა და სამყაროს ზოგად, უნივერსალურ და სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების გამოყენებითი ასპექტები, რომლებიც გვეხმარება გავიაზროთ, გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო.

ენობრივ ობიექტთა ანალიზისთვის გამოიყენება სპეციფიკური მეტაენა, რომლის მიწოდება და გაცნობა აუცილებელია ზოგადად საუნივერსიტეტო სწავლების ყველა დისციპლინისთვის. ენათმეცნიერება სწორედ ასეთ მეტაენას აყალიბებს და, ამდენად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორისყველაზე ზუსტი მეცნიერების როლს ასრულებს.

ინსტიტუტის მიზანია სტუდენტებსმიაწოდოსენათმეცნიერების მეტაენა, შეასწავლოს მათსინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ძირითადი ცნებები, გააცნოს თანამედროვე ენათმეცნიერების მიღწევები, უახლესი ლინგვისტური თეორიები, კონცეფციები, მეთოდები და განუვითაროს მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Faculty of Humanities**

**Theoretical and applied linguistics**
**Educational-Scientific Institute**

*„Ihre Verschiedenheit ist nicht eine von Schällen und Zeichen, sondern eine Verschiedenheit der Weltansichten selbst"* (Wilhelm von Humboldt). Thus, the science that studies languages and their features is very important: Linguistic analysis of natural language systemshelps us to get some information about people, their life and the world; in particular, the applied aspects of linguistics help us to understand, improve and develop various spheres of society and human life.

Linguistics, which is an exact science, has created a special linguistic metalanguage for the analysis of linguistic objects and structures; and all students of the whole university need to get acquainted with it. Consequently, the main goal of the Institute of Theoretical and Applied Linguistics is to give the students a linguistic metalanguage, to teach them the basic terms of synchronic and diachronic linguistics, to acquaint them with the latest achievements of linguistics, new theories, concepts, methodologies and develop their skills in the practical realization of theoretical knowledge.